ოთხშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 28 № 158

ყოველდღიური გაზეთი

ოთხშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 28 № 158

ფ ა ს ი 40 კ ა პ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე დ ა ქ ც ი ა.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კ ა ნ ტ ო რ ა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

## დ ღ ე ს.

**წერილები.**

მეთაური—მთავრობა და საქმიანობა.

ია ეკალაძე—ქუთ. გაზ. „ს. დემოკრატს“ და მის თანამშრომლებს.

ანი—სოციალ-დემოკრატიის ბედი

მეპრესე—ავლაბრული „სიმფონია“.

**ცნობები.**

ლეჩხუმის მაზრაში ბოლშევიკთა ამბოხების სრული ლიკვიდაცია მოხდა. ჩვენმა ჯარმა აიღო ცაგერი, ლაილაში და ხვამლის მთა. ბოლშევიკები სამეგრელოსკენ გაიქცენ. ბოლშევიკების მოძრაობამ სამეგრელოში უფრო ფართო ხასიათი მიიღო. მთავრობის ჯარმა აიღო სოფ. აბასთუმანი.

---

ღრმად დამწუხრებული შვილები: ეკატერინე ერმალოს ასული ნიჟარაძე, ნინა ერმალოს ასული ლორთქიფანიძისა, სიძე სევერიანე გიორგის ძე ლორთქიფანიძე და შვილი-შვილები: დევი, ანიკო მერი და ნუნა აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ უეცრად გარდაცვალებულის

**ქვ. ოლღა დიმიტრის ასულის ნიჟარაძისა**

სულის მოსახსენებლად ქუთაისის პეტრე-პავლეს ტაძარში ოთხშაბათს, 15 აგვისტოს, (ძვ. სტ.) გადახდილ იქნება ორი კვირის წირვა და პანაშვიდი. 2—2

---

**ქუთ. საურთიერთო ბანკის გამგეობა და საბჭო**

ამით აცხადებს წევრების საყურადღებოთ, რომ 8 სექტემბერს, (ახ. სტ.) დილის 10 საათზე, ამავე საზოგადოების დარბაზში დანიშნულია მეორეთ არაჩვეულებრივი

**ს ა ზ ო გ ა დ ო კ რ ე ბ ა,**

25 აგვისტოს კრების მაგიერ, რომელიც არ შესდგა; ეს კრება კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველია იგივე კითხვები, რომელიც პირველ კრებაზედ იყო გასარჩევი ე. ი. 1. საბჭოს და გამგეობის მოხსენება მოსამსახურეთა ახალი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზედ და შტატის შემოკლების შესახებ. 2. საკითხი ამავე საზოგადოების დამფუძნებლისა და სხვა. 3—1

---

**კბილის ექიმები**

**მ. ი. ახვლედიანი** და **ო. დ. პროშლიაკოვა**

ღებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს.—2 ს და საღამოს 5 ს.—7 ..

მისამართი: ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

---

ე ქ ი მ ი

**გ. ა. ეზიკაშვილი**

მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6-დან 8-დე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). თ.

---

**იყიდება** ორი რკინის საწოლი, შირმა, შკაფი, კედლის საათი და სხვანი. იკითხეთ ლოლობერიძის ბინა, ორპირის ქუჩაზე. 3—3

---

**იყიდება** სამხატვრო ყუთი ნიგვზის ხისაგან გაკეთებული. საღებავები, კისტები და სხვა სამხატვრო მოწყობილობები. იკითხეთ „ჩვ. ქვეყნის“ რედაქციაში.

---

**Продается** ящик для художника из орѣховаго дерева, краски, кисти и различныя художественныя принадлежности, справляться в редакцію газеты „Чвени Квекана“.

---

**იყიდება** ერთი ცხენი ქართველ ცხენოსანთა მეორე პოლკისა, წითელი ფერისა, 7 წლისა. მირთმევის გაგება შეიძლება პოლკის შტაბში ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 2 საათამდე, ყოფილ ხაპიორის პოლკის სადგომში. 3—3

---

## ქუთაისი 28 აგვისტო.

**მთავრობა და საქმიანობა**

სოციალისტურმა მთავრობამ ვერ შესძლო გმირობა და თავის მოვალეობის ასრულება: სახელმწიფო საქმეებს მისცა ჯგუფური და პარტიული ხასიათი. „ამხანაგებს“ დაურიგა ადგილები და პასუხის მგებლობაზე ხალხის და ერის წინაშე თითქმის უარს ამბობს. საქმეებს აწარმოებს და თავს იმართლებს მხოლოდ პარტიულად და პარტიული ლოგიკით და ფრაზეოლოგიით.

არსად სახელმწიფოში არ არის წესრიგი, არც ერთ ნაწილს სახელმწიფო ცხოვრებისას არ ეტყობა განახლება: თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამდენი უსამართლობას, უწესრიგობას, უვიცობას და უზრუნველობას ნიკოლოზების დროს არ ჰქონდა ადგილი ჩვენში:

მართალია სახელმწიფოს ორგანიზაცია ბიუროკრატიულად იყო აწყობილი, მაგრამ თავის ბიუროკრატიული ლოგიკა და აზრი მაინც ჰქონდა, მაინც სახელმწიფო მოხელემ იცოდა, რას აკეთებდა და ვის რისთვის ემსახურებოდა.

რა არის დღეს? რას წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფო რევოლუციის და აჯანყების შემდეგ? რაში გამოიხატება თავისუფლება და სამართლიანობა? რა შევიძინეთ გარდა ცარიელ სიტყვებისა, ლაყბობისა, ყაჩაღობისა და კომისრობისა.

რა ბედნიერება მოუტანეს საქართველოს სოციალისტებმა? ასრულებენ თუ არა დღეს იმას, რასაც პირდებოდენ ქართველ ერს, **მშრომელ მასას?** **დემოკრატიულია** თუ არა, **სამართლიანია** თუ არა დღევანდელი სოციალისტების მუშაობა და საქმიანობა?

სად არის დემოკრატიზმი? სად არის სამართალი? „ამხანაგებს“ დაურიგეს პასუხის საგები და უმაღლესი ადგილები. ბლაგვი და უნიჭო ასრულებს ნიჭიერის და მცოდნეს მოვალეობას. ინტელიგენცია შიმშილით იხოცება, მასწავლებლობა სახლის ავეჯეულობას ყიდის და ისე ირჩენს თავს იმ დროს, როდესაც უსწავლელი და უნიჭო კომისრები აუარებელ ფულს ღებულობენ, დასეირნობენ ავტომობილებით და საგარაკოთ დაბრძანდებიან.

ლოთიო რომ არ ჰქონდა საქმელი და ქუჩაში უსაქმოდ რომ დატანტალობდა, ის დღეს თართით და ზუთხით იკვებება. ბანკებს და მაღაზიებს რომ ძარცავდა, ის დღეს ეროვნულ საბჭოს სავარძლებიდგან გველაპარაკება, „ჭკუას“ და „ზნეობას“ გვასწავლის.

მშრომელი მასა დავიწყებულია, ქართველი ერი არავის არ ახსოვს, დემოკრატია მხოლოდ სალაპარაკო მასალაა. თავისუფლება პარტიული ინტერესების და მადის გამაღვიძებელი რამ გახდა. სამინისტროებში „ამხანაგები,“ „დეიდაშვილები და მამიდაშვილები „აწარმოებენ“ საქმეებს: უაზრობა და უწესრიგობა ეტყობა ყველაფერს, მთავრობის ყოველივე მოქმედებას.

აიღეთ მაგალითი სახალხო განათლების სფეროდან: ამ ზაფხულში მთავრობას ეხარჯება ნახევარ მილიონზე მეტი მასწავლებელთა კურსების მოსაწყობად თბილისსა და ქუთაისში და ეს კურსები განზრახულია უცენზო და „დროებით“ მასწავლებელთა მოსამზადებლად იმ დროს, როდესაც არა ერთი მასწავლებელი ცენზიანი, გამოცდილი და თავის საქმის მცოდნე რჩება სრულებით უადგილოთ;

ბათომისა, აჭარისა, ყარსისა და ერევნის სხვა და სხვა სასწავლებლის ქართველი მასწავლებლები უადგილოდ რჩებიან იმ დროს როდესაც მთავრობა ქუჩაში ეძებს მასწავლებლებს და 3—4-კლასიან ახალგაზდებს, სრულებით მოუმზადებლებს თვენახევრის კურსების მოსმენის შემდეგ პედაგოგების წოდებას ანიჭებს. ეს არის განა სახელმწიფოს აშენება და ქართველ ერის გაბედნიერება? ეს აზრიანი და მიზან შეწონილი მუშაობაა?

რა უნდა გააკეთონ ეგრე აჩქარებულად „მომზადებულებმა“ სასწავლებლებში და რა ხარისხის პედაგოგები იქნებიან ისინი?

ანუ რას ფიქრობს ჩვენი „ბრძენი“ მთავრობა იმ გამოცდილ და დამსახურებულ პედაგოგების შესახებ, რომლებიც რჩებიან უადგილოდ?

სად არის **აზრი** და **სამართლიანობა?** სად არის მთავრობის ნიჭი და ცოდნა?

ბრძენო ედიპე, გვიპასუხე:

დროა უკვე პასუხის.

## ქუთათურ გაზეთ „სოციალ-დემოკრატს“ და მის თანამშრომელთ.

მოწყალენო ხელმწიფენო და ბატონნო ჩემნო!

თქვენის გულვიწროობისა და სულ-მოკლეობის გამო, სადავო საგანი: ხალხის სამსახური და გზები ამ სამსახურისა—პირადობაზე დაგიხურდავებიათ და რომ ერთხელ კიდევ გაიცინოთ და გაართოთ თქვენი საბრალო მკითხველი ჩვენი უდიერად მოხსენებით და ჰქარიკანობით.

ჩვენ რომ თქვენ გიცნობთ, მეტიც არა მოგეთხოვებათრა—ააფრინე ალალიო რაც არ არის, არარიო—მაგრამ მაინც მოვალეთა ვსთვლით ჩვენ თავს მოგახსენოთ შემდეგი:

იტალიეთის სახელგანთქმული მწერალი დე-ამიჩისი ამბობს: „როცა ქუჩაში ბავშვები ჩხუბობენ,—გააშველე, ხოლო როცა ამავე ქუჩაზე დიდრონები თავხედობენ, ნურც-კი შეხედავ, ვინაიდგან მათი საქციელი შეურაცხჰყოფს ზნეობრივ გრძნობასო“.

ვიდრე თქვენც ბავშვები იყავით, ვიდრე რუსეთის კვატებსა თუ ბატებს დასდევდით უკან და ერთმანეთსა ჰქოჩრავდით,—ჩვენც გაშველებდით, ხოლო მას შემდეგ, რაც „დადიდრონდით“ და ისე დაც დადიდრონდით, რომ მთელი საქართველო ქუჩად აქციეთ და მის წმიდათა

წმინდაზე მალაყებს გვდადიხართ, თქვენი, თითოეულის თქვენთაგანის,—პიროვნება ჩვენ ალარ გვაინტერესებს, ვინაიდან განქიქება თქვენი პირადი ცხოვრებისა ისეთს მყრალს სუნს აუშვებს, რომ უიმისოდაც თქვენგან დაბრიყვებულ საქართველოს სულ ამოარჩობს.

ჩვენ გვინდა გკითხოთ მხოლოდ:

— როდის დასდებთ სალოს ბაგეთა თქვენთა და როდის მოსწყდებით ქართველ ხალხს ზურგიდან, როგორც „სოციალისტები"?

აი, სად არის თავი და ბოლო ჩვენის დავისა!

განა ამიტომ იფორთხეთ აქამდე, რომ თქვენთვის სრულიად უცნობსა და უცხო საქართველოს ახალ ბატონებად მოვლინებოდით?

განა იმიტომ ებლაუქებოდით მაღალ იდეალებს სოციალიზმის სახით, რომ ჩაგეკლათ ხალხში ყოველივე სამართლიანობა?

განა ამიტომ დაიწერეთ ჯვარი „თებერვალებზე" რომ ხმა შეწყობილად გაგეთელათ გრძნობა და ფიქრი ქართველი კაცისა?

განა იმიტომ შეიქენით ძალად წარჩინებულნი, რომ ამოგეფხვრათ ხალხის გულიდან ანდერძი ილიასი, მცნება აკაკისა, სიმღერა ვაჟასი, გულისთქმა ყაზბეგისა?...

რად შეაგინეთ ემბაზი საქართველოისა და რად დაშრიტეთ წყარო ქართველი კაცის კულტუროსნობისა?

გაიხედეთ სოფლად და ქალაქად, დააკვირდით თქვენგან აღზრდილ მასსას, იხილეთ საქმენი თქვენი საგმირონი, მოისმინეთ სიტყვა-პასუხი თქვენგან გაწვრთნილ ახალ-თაობისა და თუ თქვენ მართლა ქართველები ხართ, თუ ცოტათი მაინც შეგრჩენიათ სიყვარული ქვეყნისა— დაიყრით ნაცარსა თავსა თქვენსა ზედა და ფერფლს წვერ-ულვაშსა ზედა თქვენსა და შეუდგებით სინანულს დაუსრულებელს.

მაგრამ თქვენ ამას არ იზამთ, ვინაიდგან კუდი თქვენი ჯერ ისევ ბოსიაკებთან ძევს და ცხვირი თქვენი მეტად მოძრავია.

ასე იყო წინად 26 მაისამდე ამწლისა, ასეა ეხლაც,—ვითომდა თქვენგან მონიჭებულ თავისუფლების დღესაც!

აი რას გიჩივით, აი რა გვტკენს გულს, როგორც ქართველ მწერალსა და მუშაკს ჩვენი ძალღონისამებრ, თორემ შავწყალსაც უზიდნია სოციალიზმიც და არასოციალიზმიც, თუ კი კაცი, ადამიანი, თავის კუჭის მეტს ვერას დაინახავს და თავის პარტიულ ჟინიანობისათვის საქართველოს დაივიწყებს, საქართველოს მთლიანს, განუყოფელსა და განუკვეთელს!

გესმით თუ არა? მაგრამ თქვენთვის ამის გაგონება ხელსაყრელი არ არის, ვინაიდგან გამოფხიზლებული საქართველო ვეღარ მოგართმევთ ყაბლუფლავებს!....

ვინაიდგან გამოფხიზლებული ქართველი ხალხი,, დიახ ქართველი ხალხი (და არა თქვენი დამქაშები, რასაკვირველია) ათში ცხრა თქვენგანს სისხლის სამართალში მისცემს!

აი, დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა!

რაც შეეხება კერძო ჩემს ცხოვრებაში თქვენ მიერ ხელის ფათურს, ორი შესწორება უნდა შევიტანო:

შესწორება პირველი: თქვენ უნამუსოდ ჰკოტრიკანაობთ და შესწორება მეორე: მას შემდეგ რაც თქვენის წყალობით, ე. ი. თქვენის „სოციალიზმის" მეოხებით იქ რუსეთში რეპინები სიმშილით იხოცებიან, ხოლო აქ ლაქია და ხელზე მოსამსახურენიც კი დღეში შვიდ რვა თუმანს აკეთებენ, ქართველს, არა თქვენი პარტიის ინტელიგენტს, ლუკმა პურიც კი არა გვაქვს, თორემ იმდენი ვინ მომცა, რომ ვიარო იმ რესტორანებში, სადაც სოციალ-დემოკრატები და ფედერალისტები ერთ დროს ერთმანეთს ბოთლებით თავებს ამტვრევდით და დაამტვრევთ კიდევ!

მაგრამ კმარა! ან კი ვის რა თავშისახლელად უნდა თქვენი კერძო რაობა თორემ....

ვფიცავ თქვენს უმეცრებასა და კადნიერებას; ვფიცავ თქვენს უზრდელობასა და გულზვიადობას; ვფიცავ თქვენს გათავედებასა და გადიდკაცებას; ვფიცავ თქვენს გაბედნიერებასა და თქვენ მებლოკეთა გაუმაძღურებას; ვფიცავ თქვენს ძალმომრეობასა და უსამართლობას; ვფიცავ თქვენს გაუმაძღარ მადასა და დაუნახავ თვალებს; ვფიცავ ბევრ ნაყაჩაღევთა გასოციალისტებასა და ზოგ მედროვის გამინისტრებას; ვფიცავ ჟამსა თქვენ მიერ ჩვენი ხალხის დაბრმავებისასა და „პირველი ნომრის" გამარჯვებას, ვფიცავ ჟამს ამავე ხალხის გამოფხიზლებისას და მათ მიერ მსჯავრის დადებისას,— თქვენს ამბავს იმდენსა გეტყვით:

„დილმის მინდორზე გრძელსაო,
აგკიდებთ ზურგზე გიდორსა,
შიგ ჩაგილაგებთ ქვებსაო,
შემ ჰგატარებთ დუნიას,
მოგაწყვეტინებთ წელსაო!"

თქვენი მორჯულების მოსურნე

ია ეკალაძე.

## სოციალ დემოკრატიის ბედი.

გერმანეთის ზარბაზნების გრიალმა ძველი რუსეთის მთავრობა დაამხო. ჩვენმა სოციალ დემოკრატიამ ქვეყანას აუწყა: ეს ჩემი საგმირო საქმეაო; მხოლოდ ამას არ დავჯერდები და მთელ რუსეთში და ევროპაში პროლეტარიატის ბატონობას დავამყარებო; ეს სწორედ კრილოვის ბუზს მოგვაგონებს, რომელიც რქაზე იჯდა და გაიძახოდა: „გუთანი გვება მინდორში, გამოვიყვანეთ ალოო, ახლა პური გვაქ სალეწი, უნდა გავმართოთ კალოო".

ჩვენ სოც. დემოკრატიას არც რუსეთის მთავრობა გადმოუგდია, ვერც ქვეყანაზე პროლეტარიატის ბატონობას დაამყარებდა, მაგრამ თუ ამის თქმას გაბედავდა ვინმე, სიტყვების ჰქქა ქუხილს მოუვლენდა.

ჩვენმა სოციალ-დემოკრატიამ გერმანეთის პროლეტარიატს მიმართა, მთავრობა დაამხვეთ, შემოგვიერთდით, ჩვენი ბატონობა დავამყაროთო; ამაზე ცივი უარი მიიღო! ეს იყო პირველი დიდი მარცხი მარქსისტული პოლიტიკისა, მაგრამ ჩვენმა მარქსისტებმა წარბი არ შეხარეს, შეეცადენ რუსეთში გამაგრებას და ევროპაში ბატონობა სამერმოდ გადადვეს, როცა ევროპის სოც.-დემოკრატია, მარქსის დიალექტიკას შეისწავლიდა და მათი სანუკვარი საწარმოვო ძალთა კონცენტრაცია მოხდებოდა.

რუსეთში მათ მეორე დიდი მარცხი მოუვიდათ: ლენინმა კონცენტრაციის აღარა იწამა რა, აშკარა აჯანყების გზას დაადგა „ბედნიერების" დასამყარებლად და „მეცნიერული სოციალიზმის" ქართველი ოქროპირები იფრინა წინ ამიერ კავკასიისკენ.

ვერც ამ მარცხმა შეარყია რწმენა ჩვენი მარქსისტებისა. მათ კიდევ სწამდათ, რომ ისინი ერთად ერთ ჭეშმარიტ, მეცნიერულ გზაზე დგანან, რომ სხვა ყველა გამოერკვევა და მათ ამოუდგება გვერდში.

ამ რწმენით მათ შექმნეს დღე ნაკლული სახელმწიფო—ამიერ კავკასია და გაბატონდენ მასში. ეს ბატონობა დიდ ხანს ვერ გასტანდა; აქ სოც.-დემოკრატიას მესამე საშინელი მარცხი მოელოდა, რადგან ამიერ კავკასია არამც თუ არა ბუნებრივად და მექანიკურად იყო ერთად შეკოწიწებული, არამედ ერთი მეორეს მოწინააღმდეგე ელემენტებისაგანაც კი შესდგებოდა. აქაც მალე უმტყუნა ბედმა და აქაც მალე დამარცხდენ: დაიშალა ამიერ კავკასია, როგორც სახელმწიფო, და აღმობრწყინდა მზე საქართველოს თავისუფლებისა.

ეს გახლდათ მესამე და უუსაშინელესი მარცხი ჩვენი სოც. დემოკრატიისა. უუსაშინელესი მიტომ, რომ სამშობლოს თავისუფლება და ეროვნულ ძალთა ზრდა განვითარება, რომლისათვისაც იბრძოდა დასაბამითვე ყოველი ერი, რომლისათვისაც ეგოდენ სახელოვნად „ბრძოდენ ქართვლისა ძენი, რომლისათვისაც სწირამენ ეს მეხუთე წელიწადია უსაშინელესი მსოფლიო ომი, ჩვენი სოც.-დემოკრატიისათვის (კაკი წერეთლის სიტყვით რომ ვსთქვათ) უბედურობაა და ამასთანავე შეუძლებელი რამ, რადგან მარქსის მოძღვრებაში არ სწერია.

მაგრამ ბუმბერაზულად მიმდინარე ცხოვრებამ და მასზე დამოკიდებულმა ქართველის ბედმა სრულიადაც არ მიაქცია ყურადღება მარქსის მოძღვრებას და მის მიმდევარ ჩვენი სოც.-დემოკრატიის სურვილს და ამ უკანასკნელს თავისუფალ საქართველოში ამოაყოფია თავი.

ამ რიგად ქართველი სოც. დემოკრატია მოემწყვდა სამშობლოს საზღვრებში, სადაც პროლეტარის ჩანასახიც არ მოიპოება.

ღენერლობის მაძიებელმა პარტიამ აქ ღენერლობაზედაც იძლო გული და მინისტობაზედაც, მაგრამ მაგარი და უბედურება ის გახლავსთ, რომ აქ მეოთხე და უკანასკნელი მარცხი მოელის სოციალ დემოკრატებს. საქმე იმაში გახლავთ რომ ჩვენში სოც. დემოკრატია ყალბ ნიადაგზე დგას და ამიტომ გამაგრებას შესძლებს კიდევ მანამდის სანამ ენერგია ხალხის მოტვილებისა არ გამოელევათ.

და რადგან ეს შეუძლებელია, რადგან მთელი ხალხის მუდამ ტყვილება არ მოხერხდება სოც. დემოკრატიის ბატონობის დღეებიც ჩამოითვლება, როცა ჩვენი ხალხი თავის ვინაობას და თავის ინტერესებს შეიგნებს.

ჩვენ კიდევაც ვხედავთ, რომ ეს პროცესი შეგნებისა დაიწყო.

ახლად ჩამოყალიბებული ეროვნული დემოკრატია, დაყრდნობილი ჩვენი ხალხის სულის კვეთებაზე, ზედ გამოჭრილი ჩვენ ეკონომიურ მდგომარეობაზე დღითი დღე იზრდება, ძლიერდება; ძლიერდება მიუხედავად იმისა რომ ბრძოლას თითქმის არ აწარმოებს: აგიტაციას სოფლად ძალიან ნაკლებად ეწევა; ეს იმიტომ კი არა რომ მას ძალა და ნიადაგი არ მოეპოვებოდეს: არა, ძალაც შესწევს და ნიადაგიც საუცხოვოა მისი მოქმედებისათვის, მაგრამ მას არ სურს ისედაც გამწვავებული პარტიული ბრძოლა კიდევ უფრო გაამწვავოს; მას ღრმად სწამს რომ ერთად ერთი ბუნებრივი გზა ჩვენი ხალხისა, ეროვნული დემოკრატიის გზა არის, და ამ გზას ჩვენი ხალხი ვერ აცდება. ძლიერი პროპაგანდით შემოკრებილი ხალხი ჩვენ არ გვინდა; ასე თუ ისე, ეროვნული დემოკრატია იზრდება და ეს ხიფათს წარმოადგენს სოციალისტებისათვის. ამიტომ ისინი შეერთდენ, შეკრეს კავშირი (ბლოკი) და გამოიტანეს ბრძოლის ველზე მთელი თავისი არსენალი, რომელიც ქუჩური დემაგოგიისა და ადამიანის შეურაცხმყოფელი ცილის წამებისაგან შესდგება, მაგრამ მათი მდგომარეობა საიმედო მაინც არ არის.

რაღაც სამი წლის დაარსებული პარტია ებრძვის 30 წლის ორ პარტიას, ძლიერ გამოწვრთნილს და გამობრძმედილს პოლიტიკურ ბრძოლაში, უფრო დემაგოგიაში.

თუმცა ეროვნულ დემოკრატები ალაგ სულ არ გამოდიან საარჩევნო ბრძოლაში, ალაგ ექვს ხმოსანში ერთი ძლივს გაჰყავთ, მაგრამ ისეთი ადგილებიც ვიცით, სადაც მესამედ ნაწილს შეადგენენ, სადაც უსწორდებიან ბლოკს და სადაც სრულიად ამარცხებენ მას.

ეს ასეა, მაგრამ შეგნების, ჭეშმარიტი გზის ძებნის პროცესი საქართველოში მარტო ამაში როდი გახლავთ, საქმე ისაა რომ ხალხის მეოთხედი ნაწილი, სულ დიდი, მესამედი თუ მიდის საარჩევნო ყუთებთან; სადაც 17—18 ათასი ამომრჩეველი იყო იქ 3—4 ათასი თუ არის" ალაგ ათას კაცში რაღაც 10—12 ხმა მოდის. ეს რას ნიშნავს?..

იმას ხომ, არა რომ სოც. დემოკრატების პოლიტიკა და მართვა გამგეობა, მათი კანონი და სამართალი ალარ მოსდის ყურთში ჩვენ ხალხს? იმას ხომ არა, რომ არა სოციალისტური ერი სოციალისტურ მთავრობას უნდა მოშორებოდა და შორდება კიდევაც, როგორც ამას წერდენ თვით სოც. დემოკრატები თავის გაზეთებში? — დიახ, ეს ასე უნდა მომხდარიყო — და ხდება კიდევაც და ვერავითარი დემაგოგია და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც თოფ ზარბაზანი შეაჩერებს ამ ხალხის შეგნებას.

რა გზას დაადგება ის ხალხი რომელიც სოციალისტებს შორდება? ეს ჩვენ ვიცით და ამიტომაც ეროვნული პროპაგანდა ზედმეტად მიგვაჩნია.

ანი.

## ავლაბრული „სიმფონია".

არავის ეგონოს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებდეს სიმფონიები ავლაბრული შიქასტებისა და მოღრიალე არღნებისა. ჩვენ გვაინტერესებს ის სიმფონიები, რომლებიც „ხალხის მეგობრის" მეპრესეებსა და მწერლებს დასჩემდა და ავლაბრულისას არაფრით არ ჩამოუვარდება. და ამ შემთხვევაშიაც ჩვენ არ გვაინტერესებს „შინაარსიანობა" მათი პრესაწერილებისა, რომლებითაც ისინი მათ მოწინააღმდეგეთ დაუხვდებიან. ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს ის კილო, რომლითაც შეხმატკბილდება ეს „შინაარსიანობა" და საშუალება მოგვეცემა ვისმინოთ სიმფონია ჩვეული, „მეგობრული".

გაზეთ „ხალხის მეგობრის" მეპრესეს ეკითხებოდენ: „რა ეწოდება იმ კაცს, რომელიც თავის მოწინააღმდეგეს ეუბნება: ნიჭი არ გქონია, თორემ შენც მოიპარავდიო?". სხვათა შორის, იგი ასე უპასუხებს: „კოწო ლომთაძემ კიდევ დაუარა დავლური „ჩვენი ქვეყნის" ცარიელ გვერდებზე. იმე, იმე, ეს რა საკადრისია... გაათავე რაღა... და სხვა".

ამ გაზეთის სულის ჩამდგმელს ბ. დადიანს ეუბნებიან: „მთელს პარტიას ერისა და სახელმწიფოს წინაშე მოღალატეობასა და პარაზენციობასა სწამებთ; ბრძოლის ველზე მომქმედ ამ პარტიის წევრებს საშინელ პროვოკატორულ გამოსვლაში გახვევას უპირებთ და ფეხით სთელავთ იმ სისხლს, რომელიც ქვეყნის სამსხვერპლოზე იწირება. ეს არ არის პატიოსნება. თუ რამე საბუთები გაქვთ მოღალატეობის და პარაზენციობის გამოაქვეყნეთ ყველას წინაშე, როგორც სამშობლოს ერთგულმა შვილმა, მისთვის თავდადებულმა". შოთა დადიანი პირდაპირ პასუხს არ იძლევა. იგი ხუმრობის გუნებაზეა, მისი კალამიც სახუმარო რამეებს იწერება. და სხვათა შორის ასე ავლაბრულ კილოზე ხმაშეწყობილ ,,პასუხს'' გვაძლევს:

,,ლეონ დგებუაძესაც'' წარმოიდგინეთ მხედარო, რომ ,,ზრდილობამ მომთხოვა, არც ბოდიში მოვიხადო და არც გავჩუმდე'', რადგან თქვენი განმარტება უზენაესი სენატის განმარტებათ, ვერ მივიღე... და სხვა... რატომ ვერ გაიგე, ჰაბუკო უშიშარო და შუბლიანო, რომ სარდალი ჯარისა (თქვენი ნაპოლეონი) ვერ აღმოჩნდა სანდო პიროვნება, რომ ამიტომ ,,რამდენი რამ'' გაგახსენოთ ყმაწვილო? მაგრამ რამდენი ლეგიონი ხართ! თქვენისთანა ,,სავსე პიროვნებას'' სტატისტიკური ცნობები ექნება ამისი''. და ათავებს რა თავის მარგალიტებს, დასძენს: ,,თქვენთან კამათის სურვილი არა მაქვს''-ო.

რა არის ეს, პასუხი, პრესა თუ ავლაბრული სიმფონია?

ვუძღვნით ამ მარგალიტებს საქართველოს მუზეუმს.

მეპრესე.

# საქართველო.

## მთავრობის მოქმედება.

— შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. ვ. რამიშვილის თავმჯდომარეობით 22 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში გაიმართა თათბირი ანარქიასთან ბრძოლის, ახალი სამხედრო-ვალდებულთა მობილიზაციის და ადგილობრივ მტკიცე ადმინისტრაციის შესაქმნელათ. თათბირში მონაწილეობდენ: სამხედრო მინისტრი,

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი — საბახტარაშვილი, სახალხო გვარდიის წარმომადგენლები, საგუბერნიო კომისრები და ნაციონალურ საბჭოს ზოგიერთი წევრები. დაადგინეს: ახალი კანონი სამხედრო ბეგრის მომხდელთა შესახებ გატარდეს მტკიცედ, დეზერტირები და მათი მფარველები სასტიკად დაისჯებიან. პასუხის მგებლობა უმეტეს ნაწილად საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო კომისრებს ევალებათ სასწრაფოდ მიღებულ იქნეს ენერგიული ზომები საქართველოში წესრიგის დამყარებისათვის. ამისთვის ხდება ყველა სამხედრო და სახალხო გვარდიის ძალების მობილიზაცია. დაიგზავნებიან იქ, სადაც ანარქიული გამოსვლებია, პირველად ქუთაისის გუბერნიაში. საგუბერნიო კომისრებს ევალებათ დაატუსაღონ ყველა ის პირნი, რომლებიც თავის გამოსვლით არღვევენ სახელმწიფოებრივ წესრიგს და ხელს უშლიან საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას. საგუბერნიო კომისრებს ევალებათ ორი კვირის ვადაში შეადგინონ ადგილობრივი მტკიცე ადმინისტრაცია, რისთვისაც მათ უნდა გაგზავნონ მაზრებში სპეციალური რწმუნებულები. წინადადება მიეცათ მიღებულ იქნას ზომები გადასახადების შესაკრებად. თათბირმა აღიარა, რომ ანარქია საქართველოში კლებულობს, ზოგან სრული სიმშვიდეა.

## საყურადღებოთ

კავკასიაში გერმანიის საიმპერატორო დელეგაციის უფროსი გენერალ-მაიორი ბარონ ფონ-კრესი საყოველთაოდ აცხადებს შემდეგს:

დელეგაციაში მოდის მრავალი საჩივარი იმის შესახებ, რომ ფოთიდან ევროპის ნავთსადგურებში მიმავალ მგზავრებს გერმანიის ხომალდებზე საკმაო ყურადღებას ვერ აქცევენ.

განსაკუთრებით ვამბობ და ვაფრთხილებ ყველას, რომ ფოთიდან მიმავალ მგზავრთა დიდი სიმრავლის გამო, მათი დაბინავება ხომალდებში ერთობ პრიმიტიული იქნება და ბევრ დაბრკოლებასთან არის დაკავშირებული. ამდენი მგზავრის კარგათ მოვლა გზაში კი შეუძლებელია დღევანდელ პირობებში.

გარდა ამისა, ვაფრთხილებ, რომ თვითეულმა მგზავრმა აუცილებლათ უნდა გაიაროს კარანტინი, რომელსაც თან ახლავს ბევრი უხერხულობა.

ის, ვისაც არ სურს შეურიგდეს, ომის დროის ასეთ დაბრკოლებას და უხერხულობას და ვისაც არ უნდა ანგარიში გაუწიოს მიმდინარე მომენტის შემაფერხებელ პირობებს, უკეთესი იქნება, რომ თავის მგზავრობა სხვა დროისთვის გადასდოს.

ყოველ შემთხვევაში გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებმა უნდა მოიხსნან ყოველი პასუხის მგებლობა შესახებ მგზავრთა შევიწროებულ მიმოსვლისა და მათი გამოკვებისა.

## სხვა და სხვა ამბები.

— რადგან რუსულ ნაციონალურ საბჭოში ბევრმა აღძრა შუამდგომლობა რათა მათ მიეცეთ ბათუმში წასვლის ნება, ნაციონალური საბჭო აცხადებს, რომ ის თითონ არ იძლევა ბათუმში წასვლის ნებას, ის მხოლოდ უგზავნის შუამდგომლობას ორი ფოტოგრაფიულ სურათით ბათუმის კომენდანტს, რომელზედაც დამოკიდებულია ბათუმში წასვლის ნებართვის მიცემა.

— გერმანიის მისიის უფროსმა, გენერალ ფონ- კრესმა დეპეშა მიიღო ხალილფაშისგან, რომ ოსმალოები აბასთუმანსა და აწყურს სცლიან.

— ერევნიდან ჩამოსულთა სიტყვით ჯულფის მხრიდან დაჭრილი ასკერები ჩამოჰყავთ. ოსმალებმა წინადადება მისცეს გუმბრის მცხოვრებს თავიანთ ცოლშვილი გაგზავნონ ქალაქიდან. ქალაქიდან ოსმალების დიდძალ სხვა და სხვა საქონელს ეზიდებიან.

## ლეჩხუმის ამბები.

ლეჩხუმის მაზრაში ბოლშევიკთა მოძრაობის სრული ლიკვიდაცია მოხდა. ჯარმა ერთდა იმავე დროს დაიკავა დ. ლაილაში და ს. ნასპერა. 23 აგვისტოს პოლკოვნიკ ზაქარიაძის მეთაურობით აიღეს ხვამლის მთა და ცაგერი. ხვამლის აღების დროს ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდო ერთი ზარბაზანი 20 ყუმბარით. ცაგერის აღების დროს კი 1 ტყვიის მფრქვეველი, არტილერიის 3 „ფურგუნი.“ ბოლშევიკები ლეჩხუმიდან სამეგრელოსკენ გაიქცენ.

ლეჩხუმში ამ ჟამათ სამხედრო ბეგრის მოსახდელად ახალგაზდებს ჯარში იწვევენ. ახალგაზდები ადგილობრივ იწვრთნება, სოფლებმა კომისრები უკვე აირჩიეს. მიმოსვლის საქმე ამ დღეებში ნორმალ პირობებში ჩადგება.

## ანარქია სამეგრელოში.

(დეპეში გუბ. კომისარს).

**ახალსენაკი.** დაბეჯითებით გთხოვთ გამოსცვალოთ მთელი ადმინისტრაციის შემადგენლობა ზუგდიდის მაზრაში. ჯერ კი გთხოვთ დანიშნოთ მაზრის კომისარი.

პოლკ. სრესელი.

— **ახალსენაკი.** (დეპეში) ზუგდიდსა და ახალ-სენაკს შუა გაფუჭებულ ტელეგრაფის შეკეთებას შეუდგენ სამ დღეში უკვე გაკეთებული იქნება. საჭიროა ერთი ავტომობილი რომ შეიარაღებული რაზმი ყოველდღე დადიოდეს ზუგდიდ-ახალსენაკ-ოჩემჩირეს შუა.

პოლკ. სრესელი.

— **ახალ-სენაკი.** (დეპეში) როტმისტრ დენისოვის რაზმს შეტაკება მოუხდა ს. ძეძილეთთან. მტერს მოუკლეს ორი, ჩვენის მხრით ზარალი არ არის. ბრბოები მთავრობის ჯარების მიახლოვებისთანავე გარბოდენ. ს. აბასთუმანი, რომელიც ითვლება ავაზაკების ბუდეთ უბრძოლველად დაგვნებდა. ჩვენ წინადადება მივეცით ჩაგვაბარონ იარაღი, ჯარში გასაწვევი ახალგაზდები და ყველა ისინი, რომელნიც აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდენ. მიღებულია ზომები დავიჭიროთ ყველა ავაზაკები ზუგდიდის მაზრაში, შევქნათ შესაფერისი ძალა-უფლება. შეგნებული ნაწილი მცხოვრებლებისა მთავრობის მხარეზეა, მაგრამ ბნელი ძალები სისტემატიურათ მათ ტერორის ქვეშ აყენებს. გთხოვთ დააჩქაროთ ძალა-უფლების შექმნა.

პოლკოვნიკი სრესელი.

— **ბოლშევიკების თხოვნა.** ბაღდათიდან და სალხინოდან ბოლშევიკურ ბანდებმა თხოვნით მიმართეს იქ მდგომ რაზმის უფროსს ჩიჯავაძეს, რომ იარაღს დაყრიან, თუ მათ დანაშაულს აპატიებენ.

# უცხოეთი.

## უცხოეთი.

— გაზ. „ფოს. ცეიტ“ კორესპონდენტთან ბაასის დროს ფელდმარშალ გინდენბურგს უთქვამს: „ჩემი მოვალეობაა მომჭირნეობით მოვეპყრა ჯარს. სწორედ ამიტომ გადავიტანე ბრძოლის ასპარეზი ჩვენთვის უფრო სასარგებლო ადგილას, რომ ჯარს სწრაფი და კარგი სურსათის მიწვდით ბრძოლა გაუადვილო. აცნობეთ სამშობლოს ჩვენი ჯარების გმირობა რწმენა გამარჯვებისა. არც ფრონტისთვის და არც ზურგისთვის ომის მეოთხე წელიწადი სახუმრო არ არის. ეს ყველამ კარგათ ვიცით და ამიტომ ზავი ყველას გვინდა. მაგრამ ზავის ჩამოგდებამდე მტერს წინ უნდა აღუდგეთ ძველი პრუსიული გერმანული ძალით და თუ ჩვენ კიდევ ასე ვიომებთ, როგორც ამ ოთხი წლის განმავლობაში, მაშინ მივაღწევთ ზავს.

— ესპანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა წინადადებით მიმართა ყველა მეომარ სახელმწიფოთა მინისტერთა საბჭოებს, რომ ყოფილ დედოფლის და მისი ასულთა ესპანიაში გადაყვანის საქმეში მას ხელი შეუწყონ. „ჰავასის“ სააგენტოს შეკითხვაზე, ისპანიის პრემიერ-მინისტრმა უპასუხა, რომ მადრიდის კაბინეტმა მართლაც გადასდგა ასეთი ნაბიჯი ესპანიის მეფის დავალებით.

— კიევიდან იტყობინებიან, რომ გერმანულ სასამართლოს განაჩენით ლუკიანოვკის მოედანზე, ტელეგრაფის ბოძზე ჩამოახრჩვეს ციხგორნის შვილი მეზღვაური დანსკო. გვამი ბოძზე ორი საათი ეკიდა.

## ყირიმი.

— გერმანეთის საკომენდანტო აცხადებს, რომ ინგლისისა, საფრანგეთისა, იტალიისა, ამერიკისა, სერბეთისა, მთავაეთისა, ბელგეთისა, პორტუგალიისა და საბერძნეთის ქვეშევრდომნი როგორც მამაკაცები ისე დედაკაცები, რომელნიც საკომენდანტოს კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ვალდებულნი არიან ყოველ თვეში 14 დან 16-მდის და 28 დან 30 მდის გამოცხადდენ საკომენდანტოში.

— მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სამხედრო მინისტრის ამხანაგად დაინიშნა გენერალ-მაიორი მილკოვსკი.

— ყირიმის მთავრობამ შემოსავლის კვალობითი გადასახადის კანონი შესცვალა. იმ პირთ რომელთაც 20 ათას მანეთზე მეტი შემოსავალი არ ექნება გადასახადი არ გადახდებათ.

## აძერბეიჯანი.

გაზ. „ედინენიე“ განჯის მდგომარეობას აგვიწერს: —

ცხოვრება ქალაქში ნორმალურათ მიმდინარეობს. სავაჭროები საქონლით ავსებულია. განსაკუთრებით განცვიფრებაში მოყავხართ შაქრის სიმრავლეს. ბევრია თამბაქო, ასანთი, პური ხორბლეულობა, მწვანილი, ხილი ხორცი და სხვა. ყველაფერი იაფათ იყიდება. ყველა ეს საქონელი განსაკუთრებით მატარებლით მოაქვთ თფილისიდან.

**მთავრობაში.**

სამინისტროები უბრალოთ არის მოწყობილი. თვითეული მინისტრის კანცელარია შედგება თითო მდივნისა და 1-3 მწერლისგან. საქმეები სისწრაფით ირჩევა. ყველა სამინისტროები მოთავსებულია ვაჟთა გიმნაზიის შენობაში. მინისტრებს ტიტულად უწოდებენ „მაღალ აღმატებულებას“

# ახალი ამბავი

## ქუთაისი

**თეოფილე ჯიმშელეიშვილის და პოლიკარპე ნიშნიანიძის დათხოვა.** სასურსათო სამინისტროს რწმუნებულებმა 20 აგვისტოს კრებაზე დაადგინეს: სამსახურიდან დაითხოვონ სამანუფაქტურო საწყობის გამგე თეოფილე ჯიმშილეიშვილი და ქუთაისის მაზრის სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე პოლიკარპე ნიშნიანიძე, რომელთაც ბრალდებათ მონაწილეობის მიღება იმ 800 ფ. შაქრის გადამალვაში, რომელიც აღმოჩდა სამაზრო სამმართველოს საწყობში. აგენტ ჩხეიძეს, ბუღალტერ გოგუაძესთან ერთათ დაევალა ჩამოართვან საწყობების კლიტეები ჯიმშელეიშვილს და მოახდინონ სამანუფაქტურო საწყობის რევიზია.

◆ სასურსათო სამინისტროს რწმუნებულებმა ქუთ. გუბ. 20 აგვისტოს დაადგინეს: ნება მიეცეს ნ. ე. საყვარელიძეს მოახთინოს შაქრის გადაცვლა არა უმეტეს 1000 ფ. სიმინდზე, იმ პირობით, რომ 1 ფ. შაქარზე აიღოს არა ნაკლები 8 ფ. სიმინდისა.

◆ თათბირი მიწის საკითხის შესახებ. ქუთაისის სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტმა ყველა რაიონების კომისრებს აცნობა, რომ ამ მოკლე ხანში სოფლის სამართველოებში საადგილ მამულო კომიტეტის წარმომადგენელი, სოფლების წარმომადგენლებთან ერთად მართავს თათბირს მიწის რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ, ამისათვის ამ თათბირს საჭიროა რომ დაესწრონ სოფლების წარმომადგენლები.

◆ ყალბი ფულები. სასტუმრო „ორიენტში“ დააპატიმრეს გაბრიელ ხოჯაშვილი და ყასაბი [illegible], რომელთაც [illegible] დათ 25 ცალი კერენსკის ყალბი 40 მანეთიანები, ამის გამო სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწე ძნელაძე თფილისს იქმნა გაგზავნილი სვანების დასაჭერათ, რომელთანაც ახლო კავშირი ჰქონიათ ზემო აღნიშნულ პირთ. მასაც აღმოაჩდა კერენსკის ყალბი ფულები. ისინი სამივე ციხეში მოათავსეს,

◆ ტუსაღების რიცხვი. ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ამ ჟამათ მოთავსებულია 407 ტუსაღი.

◆ ტყიბულის ქვანახშირის მუშების გაფიცვის შესახებ. ტყიბულის ქვანახშირის მუშების გაფიცვა უკვე დამთავრდა. მთავრობამ მათი მოთხოვნილება დააკმაყოფილა. მუშაობა 26 აგვისტოს გაიხსნა.

◆ გუბერნიის კომისრის თანაშემწე დ. გრიგოლია გუშინ ლეჩხუმში გაემგზავრა.

◆ პურზე ფასის დაკლება. რადგანაც ქუთ. ბაზარზე გამომცხვარმა პურმა ძლიერ იმატა ეხლა თეთრი პური გირვანქა 5 მან. 4-50 კ. იყიდება, შავი პური კი 3 მან. და 2-50 კ.

◆ **დაპატიმრება.** დააპატიმრეს ვასილ სერებროვსკი, რომელსაც ბრალდება მიქელაძის სახლიდან სხვადასხვა ნივთების მოპარვა 400 მანეთად ღირებული.

◆ **ტუსაღის გაქცევა.** ამ დღეებში პატარა ციხიდან გაიქცა ჯარის კაცი იაშვილი, რომელიც ამასწინეთ დააპატიმრეს ქურდობისათვის. მის მოსაძებნათ ზომებია მიღებული.

◆ ამ ორი კვირის წინათ ტყიბულის რაიონში დაიკარგა ერმალო ჰინჰარაძე. სოფელ ჰყვიშის ლეჩხუმის მაზრის მცხოვრები, რომელიც სახლში ბრუნდებოდა კახეთიდან.

უმორჩილესად ვსთხოვ, თუ ვინმეს რაიმე ცნობა აქვს მის შესახებ შეგვატყობინოს „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში.

**პროვინცია.**

**ლაშე-ლვერკის საზოგადოება.** (შორაპნის მაზრა) ორი კვირაა რაც გამუდმებული წვიმებია; ვენახებს ნაცარი გაუჩნდა და მთლად წახდა; სიმინდმა, რომელსაც საუკეთესო მოსავლის პირი უჩანდა ტარო აღარ გაიკეთა. მოსალოდნელია კვლავ ზედმეტი სიმშილობა და სურსათის კრიზისი.

— საერობო არჩევნები დანიშნული იყო 25 მარიამობისთვისთვის, მაგრამ პირველ ენკენისთვემდე გადაიდვა; მიუხედავათ იმისა, რომ „სოციალისტები“ გაფაციცებით მუშაობენ და სურთ, რომ ახლაც თავისი გაიტანონ — ხალხი მათ ძალიან ცუდი თვალით უყურებს და მათი გრძნობა და სიყვარული ეროვნულ-დემოკრატებისკენ არის მიპყრობილი.

— მიწისა და ტყეების ჩამომრთმევი კომისიის მოახლოვების შიშით გლეხებმა და მემამულეებმა ტყეები გასჩეხეს და შეშათ ყიდიან.

— **სოფ. ლორეში** (ამაშუკეთის საზოგ.) 10 აგვისტოს რამოდენიმე ბოროტ გამზრახველებმა ღამით მოჰკლეს დანიელ მჭედლიძე და მისი ოჯახიდან გაიტაცეს 10,000 მანეთი ფული; იმავე პირებმა გასცარცვეს იმ ღამესვე სამი კომლი მცხოვრები და წაიღეს ყველაფერი ძვირფასი ნივთეულობა და ფულიც.

## შეცდომის გასწორება

რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, გუშინდელ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მნიშვნელოვანი შეცდომები შეიპარა.

ბ. Ls წერილში ერთი წინადადება ასე არის აწყობილი: „მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს ჩვენ წარსულთან, იმ

წარსულთან, რომელიც მეტ თუ ისე ნაკლები კულტუროსნობით ხასიათდებოდა, ყოველივე კავშირი შევსწყვიტეთ". უნდა იყოს: „მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს ჩვენ, წარსულთან, იმ წარსულთან, რომელიც არც თუ ისე ნაკლები კულტუროსნობით ხასიათდებოდა, ყოველივე კავშირი შევსწყვიტეთ".

ხრონიკა: **რას გავს ეს**, არ არის გაშვებული ისე, როგორც უნდა ყოფილიყო. ზოგი მნიშვნელოვანი სიტყვები, რომლებიც აზრს სულ სხვანაირათ სცვლიან გამოტოვებულია ზემო მოყვანილი ცნობა უნდა ყოფილიყო ამნაირათ:

„სოფელ ფარცხანაყანევში 25 აგვისტოს არჩევნების დროს გამოირკვა, რომ სოციალისტური პარტიები გლეხობას იარაღით ემუქრება იმ შემთხვევაში თუ ხმებს მათ არ მისცემენ. **როგორც ხმები დადის, თითქოს** გამოქვეყნებულა აგრეთვე ერთი საბუთი. **თითქოს** ქუთაისიდან მთავრობა ადგილობრივ კომისარს ოფიციალურად ატყობინებს, გააფრთხილოს გლეხები, რომ არც ერთ პარტიას არ მისცენ ხმა გარდა სოციალ დემოკრატებისა და ს.-ფედერალისტებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამოვალთ ზარბაზნებითა და ტყვის მფრქვეველებით და ამოგჟლეტთო. მართალია თუ არა?

## ბ-ნ დადიანს.

ჩვენ, ქალაქ სენაკიდან წასული, ჯარში მყოფი ეროვნულ დემოკრატ ახალგაზრდობის ნაწილი ვუცხადებთ ჩვენ გულის წყრომას ბ-ნ დადიანს, რომელმაც როგორც გაზეთებიდან შევიტყვეთ, ცილის წამება მოჩმახა ეროვნულ-დემოკრატების შესახებ.

ალბათ ვერ ხედავს დადიანი, რომ ეროვნულ-დემოკრატები ჯარში შედიან არა როგორც პარტიის წევრები, არამედ როგორც მამულიშვილები, რომელსაც სამშობლო იხმობს გაჭირვებისას. იგი კი სულ ერთი და იგივეს გაიძახის,—ნუ ეწყინება და—როგორც ცნობილი ცხოველი მიაბჯენს ხოლმე ერთ ადგილას ფეხებს და არ დაიძვრის რაც უნდა უყო, ისე ისიც იმეორებს მუდამ: „ეროვნულ-დემოკრატები სად იყვენ, ან თათრებთან, ან სხვაგან, სულ ჩვენ ვიყავით, ჩვენი რაზმები და იმდენი დაგვეხოცა, რომ დასამარხი ადგილიც ველარ ვიშოვეთო".

გეყოფათ დადიანო ამდენი ტრაბახი! ჩვენებიც დაიხოცენ, სოხუმშიაც, ბათომშიაც, ბაქოს ბოლშევიკებთანაც, მაგრამ თავისუფლების დაცვა ხომ უმსხვერპლოთ არ იქნება.

დაგიჟინიათ: „ეროვნულ-დემოკრატებს რაზმები არ ყოლიათ, მათი ახალგაზრდები მხოლოდ, როგორც კერძო პირები ისე მსახურებენ ჯარშიო". დიაღაც, ეროვნულ-დემოკრატებს არც სურდათ და არც ყავდათ პარტიული რაზმები, ჩვენ მხოლოდ რეგულიარული ჯარი გვწამდა, რადგან მხოლოდ ასეთ ჯარს, წესიერს შეუძლია წესიერებისა და თავისუფლების დაცვა. თქვენ კი ეს არ გინდოდათ. ბათომი მხოლოდ ასეთი რაზმებისა და დაუწყობელ გვარდიელების მიზეზით დაიღუპა. ეს ბოლოს გაიგეთ თქვენ, სოციალისტებმა და ახლაც არა გვყავს კიდევ კარგი რეგულიარი ჯარი, თქვენის მოხვებით. გვინახავს ჩვენ ასეთი რაზმები და გვარდიელები ომში წასვლის წინ რომ მიტინგზე მსჯელობდენ. გვინახავს აგრეთვე, რომ სოციალ-დემოკრატების გვარდიელებს კრება გაემართოსთ და იქ მსჯელობა ქონოდეთ პარტიული მუშაობის გაცხოველების შესახებ. გვინახავს აგრეთვე კიდევ ბევრი რამ, მაგრამ ამდენს ვინ მოთვლის, რომელმაც დასცა და გაანადგურა სამშობლო, თათრების მონათ გახადა იგი, ანარქიის ცეცხლში გახვია და თავისუფალი ცხოვრება სიზმარში სანახავათ გაუხადა. ყველა ეს სოციალისტებმა ჩაიდინეს და მათგან მოტყუებულ ხალხს ახლაც ატყუებენ: აბა რითი გაუტეხონ ეროვნულ-დემოკრატებს სახელი. მაგრამ ხალხი ხედავს ვინაა მართალი.

გეყოფათ მყვირალებო, და მათ შორის ყველაზე უფრო ბ-ნო დადიანო, ნუ ილრინებით და იკბინებით, თავზე დაიხედეთ, თუ რას პირდებოდით ხალხს და რა მიეცით, რა გააკეთეთ ამ თქვენი რაზმებით, გარდა შიგნი თქვენი საქციელით გაბრაზებულ უიარაღო ხალხზე გამარჯვებისა, ხოლო გარეშე მტრის წინ მხდალათ, მშიშრულათ, უწესრიგოთ დამარცხებისა და ზურგის ქცევისა?

თქვენი სიტყვა უკანვე დაიბრუნეთ და დაჩუმდით!

სავანგებო ცხენოსან ასეულის ჯარის კაცნი: **გიორგი ჭკადუა. გიორგი გაბუნია, კლემენტი კალანდარაშვილი. არცხია, ნიკოლოზ ერის ავი.**

მეორე ცხენოსანთა პოლკიდან: ჯარის კაცი: **შალვა ლომაია.**

## კახეთი.

**ალაზან გაღმა მხარე.**

წასულ წელში მოხსენებული გვქონდა ჩვენ გაზეთში, რომ ალაზან გაღმა მხარეში, სადაც სცხოვრობენ ახლად გარდასახლებული იმერლები, დიდ ავაზაკობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ იმ დროს ეს ჩააქრო ლაგოდეხის კომისარმა დომენტი გამრეკელაშვილმა (სახალხო მასწავლებელმა) თავისი ენერგიული მოქმედებით; მაგრამ ამ 1918 წელში ავაზაკობამ ელვის სისწრაფით იჩინა ხელახლა თავი და საქმე იქამდის მივიდა, რომ სიღნაღიდან ლაგოდეხამდე მგზავრობა ყოვლად მოუხერხებელი შეიქმნა;

იყო შემთხვევა, რომ თვით სამაზრო კომისარიც რამოდენიმე ათეული დარაჯების თანხლებით გასცარცვეს და ყველანი სრულებით გაშიშვლებულნი უტანსაცმელოთ გამოუშვეს სიღნაღში. ხოლო უბრალო მგზავრების ცარცვას ხომ ანგარიში არ ქონდა.

ბოლოს ამ ბოროტებას როგორც იყო იმერლებმა მოუღეს ბოლო: სოფ. ვარანცოვკის, ყარსუბნის, ბაისუბნის, მიხაილოვკის, ბოლოკიანის, გურგენეთის და შრომა-კავშირის მცხოვრებლებმა შეადგინეს თავიანთი რაზმი თავდაცვისათვის; ამ რაზმს შეუერთდა თუქურმიშაში მცხოვრებ ლეკების რაზმი და ბოროტ გამზრახველების მეთაურნი ერთ თვეში დაატყვევეს; ესენი აღმოჩნდენ შვიდი ლეკი და ხუთი კახელი, რომლებიც დღეს მოთავსებულნი არიან სიღნაღის სამაზრო საპატიმროში; მას შემდეგ აქეთ ავაზაკობას ადგილი აღარ ჰქონია და სიღნაღსა და ლაგოდეხს შუა თავისუფალი მგზავრობა აღდგენილია.

რაც შეეხება აქაურ ახალშენების ყოფა ცხოვრებას ამაზედ შემდეგ წერილში მოგახსენებთ.

**ალე - ლევერკელი.**

## ზემო იმერეთი.

არც ერთ მხარეს საქართველოში სურსათის მხრით ისეთი გასაჭირი არ დასდგომია როგორც ზემო იმერეთს, და ნამეტურ კი შორაპნის მაზრას უმეტესათ აქაური მცხოვრებნი მისდევენ მევენახეობას და მთელი ადგილები ზვარებით არის გაშენებული და, რადგან დღემდის ღვინო მეტი ხელსაყრელი იყო ვიდრე სიმინდი, უკანასკნელს ძალიან ცოტას სთესავდენ და მის ნაკლს ღვინის ნაფასურით ასწორებდენ, წინეთ ფუთი ღვინო სამი მანეთად ფასობდა და ამ ფულით გლეხი ექვს ფუთ სიმინდს იძენდა, დღეს ფუთი სიმინდი 120 მანეთი ფასობს და ღვინო ორმოცი, ასე რომ წინეთ თუ გლეხი ოცი ფუთი ღვინით ასოც ფუთ სიმინდს იძენდა და კიდევაც ყოფნიდა სარჩოთ დღეს ამოდენივე ღვინის ნაფასურით (800 მანეთ) შვიდ ფუთ სიმინდს იძენს და ამასაც დიდი გასაჭირით... ამ რიგათ შემოსავალს გასავალმა საზღაპროთ გადააჭარბა და ცოცხალი და მკვირცხლი ზემო იმერეთის მცხოვრებნი ფინანსიურათ ძირს დასცა და ყელამდის ვალში ჩააგდო...

იმისი სიმდიდრე ჯერ სამეგრელოში ჩავიდა და ახლა ქართლში გადადის, სადაც შავ ქერში, რომელსაც წინეთ ცხენების მეტს არაფერს აჭმევდენ, რვა თუმანს აძლევს და „ბაგაჟისა" და "პრაგონის" ფული კიდევ სხვა არის...

**ალ. ხარატიშვილი.**

## რუსეთიდან ჩამოსულთა საყურადღებოთ.

რუსეთის ქალაქებიდან ახლად ჩამოსულთ უმორჩილესად ვსთხოვთ ამბების გადმოსაცემად ჩვენს რედაქციაში შემოიარონ.

მათ ვსთხოვთ აგრეთვე, რომ რუსეთიდან წამოღებული გაზეთები ჩვენს რედაქციას გადმოსცენ, რისთვისაც დიდ მადლობას შევსწირავთ.

**რედაქცია.**

## სცენა სოფლად.

ვინ არ იცის თუ როგორი ნარ-ეკლიანი გზით უხდება სიარული მუშაკს სოფლად დღევანდელ მომენტში.

დღევანდელი სოფელი, რომელსაც მტერ-მოყვრის გარჩევა ძლიერ უძნიმს, უნდო თვალით უცქერის ყოველივეს: სოფელი თანაგრძნობის და დახმარების ხელის მოცემის მაგიერ-არა საკადრისი სიტყვებით და ფერადებით ასურათებს მის საქმიანობას. ასეთ პირობებში დიდი ქება-ხოტბის შესხმის ღირსია ის სოფლის მუშაკი, რომელიც მიუხედავად ურიცხვი დაბრკოლებისა — ზნეობრივ შეურაცხყოფისაც-კი სოფელს ჩაჰკირკიტებია: მას არ შორდება, მთელი თავისი არსებით სურს მისი გამოფხიზლება და ყოველი მისი პირადი ბედნიერება და ანგარიშები უნაცვალებია საზოგადო საქმისათვის.

სწორედ ერთი ამისთანა თავგამოდებულ მუშაკთაგანს უნდა უმადლოდეს ზნაკვის საზოგადოება — თუ დღეს მას ჰყავს თავისი საკუთარი სცენის მოყვარეთა წრე, წრე რომელიც აგერ რამდენიმე კვირაა — სისტემატიურად მართავს წარმოდგენებს. ამ მუშაკმა ჩვენს სცენაზე პირველად გამოიყვანა „ჩინჭთი"ს კედლებში აღზრდილი ქალი, დღეიდან ისტორიას ჩაბარდა ის ხანა, როდესაც იბილწებოდა სპეტაკი ხელოვნება და ქალის მაგიერ უხეში-ტლანქი არსება გამოდიოდა სცენაზე. დიდი ენერგია უნდა ჰქონდეს იმ კაცს, რომელმაც სულ ცოტა ხნის განმავლობაში შესძლო დარაზმვა და სცენაზე გამოყვანა სცენის მოყვარეთა, რომელთაც პირველ დაწყებითი სასწავლებლის კურსიც კი არ გაუვლიათ. თავდაპირველად საჭიროდ მიიჩნიეს დროის შესაფერი პიესები დაედგათ სცენაზე — მაგრამ სამწუხაროდ რეპერტუარის სიღარიბისა-გამო ეს სავსებით ვერ მოხერხდა. ჯერ ჯერობით წარმოდგენილ იქმნა პიესები: „და-ძმა", „ბედნიერება უბედურებისაგან" და „ციმბირელი"

დიდი მადლობის ღირსია ჩვენი პროვინციის სცენის მოყვარეები, რომელთაც თეატრის საქმე შესაფერ სიმაღლეზე დააყენეს, მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი რამ, სახელდობრ ის რომ რამდენჯერმე წარმოდგენის დროს მოწვეულ იქნა არღანი.

შეიძლება გვიპასუხონ: არღანი ხალხს უხარის, თეატრს მსმენელებით ავსებსო. ეს არა სასურველი მოვლენაა და არღნის მოწვეული პერსონაჟებით ჩვენ შორს ვერ წავალთ — პირიქით კი ვნებას ჩვენს დიად საქმეს ბევრს მოუტანთ — რადგანაც მოგეხსენებათ — ქარის არც შემოტანილი ვარგა და არც გატანილი. თამამად შეიძლება ითქვას — რომ ჩვენი საზოგადოება უარღნოდაც შეგვყვება თეატრში — და ჩვენი დანიშნულება სხვათა შორის იმაშიაც უნდა მდგომარეობდეს — რომ არღნის ავტორიტეტი ერთხელ და სამუდამოდ დავცეთ საზოგადოების თვალში — როგორც ზნეობრივად დამცემი და გამათახსირებელი საკრავი, რომელსაც არა მცირედი სამსახური მიუძღვის ჩვენი ბედშავი ხალხის ქონებრივად დაცემაში და გატეტიავებაში — მით უმეტეს ჩვენ გვაქვს ეროვნული გასართობი საკრავები; დაირი და გარმონი. ზნაკვის გარმონი, რომლითაც შეიძლება ვისარგებლოთ ანტრაქტებზე — სანიმუშოდ და სამაგალითოდ ითვლება მთელ რაჭაში.

მეუხედავად ამისა დიდი მადლობის ღირსია ჩვენი ნორჩი დასი, რომელმაც ყოველ მოლოდინს გადააჭარბა, აგრძნობინა ჩვენს საზოგადოებას თეატრის მნიშვნელობა — მისი ცხოველი ძალა და თუ დღეს ყველას საღმრთო ვალად გაუხდია წარმოდგენას დაესწროს, ეს მის ენერგიას და მუშაობას უნდა მიეწეროს.

ჩვენი საზოგადოების მხრით დიდი მადლობის ღირსია მოქალაქე მინა მ. ბაკურაძე, რომელიც ათას მანათს გვპირდება ზნაკვის თეატრისათვის — ეს ის პიროვნებაა, რომელმაც თავისი უხვი შემოწირულობით საძირკველი ჩაუყარა ზნაკვის სამკითხველოს ფონდს. აგრეთვე დიდი მადლობის ღირსია მოქალაქე პეტრე რ. კვახაძე — რომელიც ჩვენს საზოგადოებას სახლს უთმობს თეატრისათვის. იმედია ამ ქველ მოქმედთ სხვა ჩვენი შეძლებულნი თანამემამულენიც ამოუდგებიან გვერდში და ყველანი ერთად შესძლებენ თეატრისთვის შესაფერ სამუდამო სახლის აგებას. ამისათვის საჭიროა შესდგეს ახლავე თეატრის საალმაშენებლო კომიტეტი, რომელიც მიიღებს ყოველგვარ შემოწირულებას, გაუწევს ჩვენს დასს დახმარებას. ზნეობრივად და ნივთიერადაც. ყოველ საქმეს დროზე უნდა გაკეთება: არა ერთი და ორი საქმე დაგვიწყია თავგანწირული სულის კვეთებით — მაგრამ ბოლო კი — როგორც საუბედუროდ ჩვენ ქართველებს გვჩვევია — სავალალო ჰქონია. რომ ეს ასე არ მოხდეს — ზნაკვის მოწინავე საზოგადოება ძლიერ ფხიზლად უნდა მოეკიდოს ამ საქმეს: დღესვე უნდა იწყოს შემოქმედებით — აღმაშენებლობითი მუშაობა — თორემ ჰაერში სრბოლით, ოცნებობით და სურვილებით არსად არაფერი გაკეთებულა და არც ჩვენში გაკეთდება.

**გერონტი მურუსიძე.**

## კორესპონდენცია.

**ზესტაფონი.** (ყვირილის რაიონის სახალხო მასწავლებელთა ფილიალური განყოფ. გამგეობა კრიზისს განიცდის; მასწავლებელთა უმრავლესობამ უკანასკნელ კრებაზე მოითხოვა ძველი გამგეობის რეორგანიზაცია, ხოლო უმცირესობა დეზორგანიზაციის მომხრე იყო; ამ გარემოებამ იქამდის მიიყვანა საქმე რომ ძველმა გამგეობის წევრებმა ყველამ თავი გაანება სამსახურს, ხოლო კრებაზე აღარავინ აღმოჩნდა ისეთი, რომ ახალ გამგეობაში შესულიყო; ბოლოს დაასახელეს გამგეობაში ისეთი პირები, რომლებიც კრებაზე არ დასწრებიან, მაგრამ როგორც ირკვევა უკანასკნელთაც უარი განუცხადებიათ; ამ რიგათ ყვირილის ფილიალური განყოფილება დაშლილათ უნდა ჩაითვალოს და ამისი უმთავრესი მიზეზები არის პარტიული განხეთქილება ამ რაიონის მასწავლებლებისა და უმეტესათ კი სვირელი „მარქსისტების", რომელთაც სხვა მიმართულების რა დარგის მოხელეც არ უნდა იყოს ისე ეზიზღებათ როგორც შავი ჭირი.

უნდა მოვაგონოთ ერთხელ კიდევ ჩვენ მასწავლებლებს, რომ პარტიულ ჟინიანობას მათ ცხოვრებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რადგან სოციალიზმი და პედაგოგიკა ერთი მეორის შორეული მეზობლები არიან...

**ლაშე-ლევერკელი.**

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

სწრაფმბეჭდავი სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.